საქართველოს პარლამენტის აპარატსა და
სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრს
შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ
მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

ქ. თბილისი 3 მაისი, 2018 წელი

საქართველოს პარლამენტის აპარატი (შემდგომში „პარლამენტის აპარატი"), წარმოდგენილი პარლამენტის აპარატის უფროსის, გივი მიქანაძის სახით და სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი (შემდგომში „სწავლების ცენტრი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის, ნინო ბერულავას სახით (შემდგომში „მხარეები"), პარლამენტის აპარატისა და სწავლების ცენტრის ერთობლივი ინიციატივების განხორციელების მიზნით, ვთანხმდებით ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებაზე.

1. მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმის საგანია ამ დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნებისათვის მხარეებს შორის ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებული თანამშრომლობა.

2. მემორანდუმის მიზანი

მემორანდუმის მიზანია მხარეთა საერთო ინტერესების სფეროში შემავალ აქტუალურ საკითხებზე თანამშრომლობა ერთობლივი სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტების განხორციელების, რესურსების (მათ შორის, ინტელექტუალური და ტექნიკური) გაზიარებისა და მაღალი კომპეტენციის მქონე კადრების მომზადების ხელშეწყობის გზით.

3. მემორანდუმის ამოცანები

მემორანდუმის ამოცანებია:

3.1 აქტუალურ საკითხებზე ერთობლივი სამუშაო შეხვედრების, სემინარების, კონფერენციების ორგანიზება; საერთო ინტერესების სფეროში შემავალი საკითხების კვლევა და სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება;

3.2 პროფესორების, ტრენერებისა და ექსპერტების ჩართვის უზრუნველყოფა მხარეთა მიერ ორგანიზებულ სასწავლო პროგრამებსა და პროექტებში;

3.3 ერთობლივი სასწავლო სახელმძღვანელოებისა და სხვა სახის პუბლიკაციების მომზადებასა და გამოქვეყნებაში მონაწილეობა (ურთიერთთანამშრომლობის პირობებში შექმნილი ინტელექტუალური შრომის პროდუქტი წარმოადგენს ორივე მხარის საკუთრებას);

3.4 თანამშრომლების პროფესიულ მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლების პროცესში მხარდაჭერა;

3.5 მხარეთა ანალიტიკური წარმომადგენლების ჩართვა;

3.6 საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ერთობლივი სასწავლო პროგრამების შემუშავება ან/და კონსულტაციის გაწევა სასწავლო პროგრამებისა და მასალების შემუშავების პროცესში;

3.7 სხვა ღონისძიებების განხორციელება მემორანდუმის ფარგლებში თანამშრომლობის მიზნების მისაღწევად.

4. მხარეთა უფლებამოსილებანი

4.1 მხარეებს უფლება აქვთ ერთობლივი ღონისძიებების ჩატარებისა და ერთობლივი პროექტების განხორციელებისათვის გამოიყენონ მეორე მხარის კუთვნილი რესურსები კონკრეტული ღონისძიებისა თუ პროექტის მიზნების რეალიზებისათვის.

4.2 მხარეები უფლებამოსილი არიან, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გამოიყენონ მეორე მხარის სარგებლობაში არსებული მემორანდუმის საგანთან დაკავშირებული ტესტები და შესაბამისი ელექტრონული პროგრამები, აგრეთვე კუთვნილი ბეჭდური ან/და ელექტრონული გამოცემების ეგზემპლარები.

5. ფორსმაჟორი

მხარე, რომელსაც ფორსმაჟორული გარემოებების გამო, ხელი შეეშლება თავისი ვალდებულებების შესრულებაში, არ უნდა იქნეს განხილული ამგვარი ვალდებულებების დამრღვევად. ამასთან, ამ მხარემ მიმართოს ყველა შესაძლო საშუალებას ფორსმაჟორულ გარემოებათა შედეგების შესამსუბუქებლად. ამავე დროს, მხარეებმა ერთმანეთთან უნდა აწარმოონ კონსულტაციები ამ მემორანდუმის შემდგომი განხორციელების საშუალებებზე.

6. მემორანდუმის მოქმედების ვადა და შეწყვეტა

6.1 წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.

6.2 მიზეზის დასახელების გარეშე წინამდებარე მემორანდუმის გაუქმება შესაძლებელია მეორე მხარისთვის 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

6.3 კონკრეტული მიზეზის მითითებით მემორანდუმის გაუქმება შესაძლებელია მეორე მხარისათვის 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

6.4 მემორანდუმის გაუქმების შემდეგ მხარეები (მათი შესაძლებლობების ფარგლებში) ვალდებული არიან განახორციელონ ყველა შესაბამისი და აუცილებელი ღონისძიება მემორანდუმის ფარგლებში დაწყებული პროექტების დასასრულებლად.

7. კომუნიკაციის ფორმა. მემორანდუმის ეგზემპლარები

7.1 მხარეებს შორის კომუნიკაცია ხორციელდება წერილობითი ფორმით (ფოსტის ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით).

7.2 მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა

გივი მიქანაძე

პარლამენტის აპარატის უფროსი

რუსთაველის გამზირი №8
თბილისი, საქართველო
ტელ: 032 2 28 26 24
ვებგვერდი: www.parliament.ge
ელფოსტა: contact@parliament.ge

ნინო ბერულავა

სწავლების ცენტრის დირექტორის მოადგილე

დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ.
თბილისი, საქართველო
ტელ: 032 2 61 21 11
ვებგვერდი: www.electionreforms.ge
ელფოსტა: centre@electionreforms.ge